ადამიანური ურთიერთობები დღეს იმდენად გაფერმკრთალდნენ, რომ მათ ხშირად სჭირდებათ სინათლეზე გამოტანა. უნდა ვილაპარაკოთ მათზედ რაც შეიძლება ხშირად, რადგან ამ ზნეობრივმა მაგალითებმა დაგვაფიქრონ და ცალი თვალით მაინც შეგვახედონ ქვეცნობიერად საკუთარი "მესთვის". საკუთარ თავზე დაკვირვება კი, ჩვენ, ადამიანებს, ალბათ, უფრო გაგვაკეთილშობილებს და ზნეობრივად აგვამაღლებს.

გიორგი სოსიაშვილი არის ის მწერალი, რომელიც ცდილობს ყოველთვის შეგვახსენოს ადამიანთა გმირობა, თავგანწირვა, ურთიერთსიყვარული თუ მეგობრობა, სიყვარული ადამიანებისადმი თუ სიყვარული სამშობლოსადმი, განსაკუთრებით კი იმ დროს, რომელსაც ომი ჰქვია. დიახ, ომი არის დრო, როდესაც ადამიანები ერთმანეთს ვებრძვით, ერთმანეთის ხორცს ვგლეჯთ, ერთმანეთის სისხლს ვღვრით "ვიღაცა ერთეულების" სურვილისამებრ, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ. თუმცა, ამასთანავე, ეს არის დრო, როდესაც ადამიანები ერთიანდებიან და ყველაზე მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს. "ზოგი ჭირი მარგებელიაო" - რა კარგი და ამავდრულად, რა უცნაური ნათქვამია! ჭირის მარგებლობა საიდან? მაგრამ ამ დროს ხომ ყველაზე კარგად ჩანს ის იდუმალი სიმებიც კი, რომლებიც ადამიანთა გულებს შორის არის გაბმული, სიმები მეგობრობისა, ერთურთის სიყვარულისა. ეს ის სიმებია, რომელთა არსებობა ადამიანებისთვისაც კი არ არის საცნაური.

ეს არის მოთხრობა, რომელშიც კარგად იკვეთება ქართველებისა და ოსების ურთიერთობა. ეს ურთიერთობა დანგრეულ იქნა ხელოვნურად, ისევ და ისევ იმ "ვიღაცა ერთეულების" სურვილისამებრ. სინამდვილეში ქართველები და ოსები კი არ შესძულდნენ ერთმანეთს, უბრალოდ დაშორდნენ ფიზიკურად, არსებითად კი, მათი გულები არ დაშორებულან. ნიკო, ერთი ხნიერი, ცხოვრებისგან განწირული კაცი, რომელსაც ცოლ-შვილის საფლავიც კი აღარ გააჩნია გულის მოსაოხებლად და რომელსაც ამ საფლავის მიწის სუნი არ შორდება, სიზმარში ხედავს ოს მეზობელს, რომელიც სთხოვს მას მისი მშობლების საფლავზე წითელი კვერცხი გააგოროს მის მაგივრად. მართლაც, ნიკო მიდის საფლავზე და იქ დასტირის თავის ცოლ-შვილსაც. თავის მხრივ კი, ოსი მეზობელი ბათო უვლის ნიკოს ცოლ-შვილის საფლავს და ალბათ, ის იქ დასტირის მშობლებს. აი ეს არის

რეალობა. ქართველსა და ოსს ერთი უსასრულო მავთულხლართი ყოფს, მაგრამ იმედი რის იმედია და, იქნება ერთხელ მასაც გამოუჩნდეს დასასრული.

მოთხრობა დაწერილია იმდენად უბრალო და გასაგები ენით, რომ შეუძლებელია ეს ტკივილი მკითხველამდე არ მივიდეს და ხელახლა არ გაუღვიძოს ერთხელ უკვე ძლიერ განცდილი ტკივილი. ტკივილი, რომელიც დაუვიწყარია ყოველი ჩვენგანისთვის.

ჩემში ეს ტკივილი გულის ერთ მხარესაა მიჩქმალული, მოთხრობის კითხვისას კი იგი მთელ გულს მოედო. 2008 წელს მიღებული სულიერი ჭრილობა კვლავ გამეხსნა და მისგან სისხლნარევი ცრემლები წამომივიდა. ეს ტკივილი დაუყონებლივ ძლერდება ასეთი ისტორიების, გმირობების მოსმენისას. ძლიერდება იმდენად, რომ ჩნდება სურვილი გააკეთო რაიმე, რითაც შეცვლიდი მომავალს ამ მხრივ, თუმცა აღმოჩნდება, რომ ხელფეხშეკრული ხარ და არაფრის გაკეთება არ შეგიძლია.

ძალიან ბევრმა რამემ მატკინა გული ამ პატარა, მაგრამ ღრმა შინაარსის მქონე მოთხრობაში. ბევრმა რამემ გამახარა და მომავლის იმედი მომცა, ბევრმაც - დამაფიქრა. დამაფიქრა იმ გარემოებამ, რომ ქართველი და ოსი მეგობარი, მეზობელი ერთმანეთს უცხო მხარეში ხვდება. მათი სიხარულის მოზიარე სტამბოლი და არა საქართველო გახდა. თუმცა, მთავარი მაინც ის არის, რომ ორი მეგობარი ერთმანეთს შეხვდა. ეს ორი მეზობელი კი საქართველო და ოსეთია, რომელნიც ისევ ერთ არსებად იქცნენ.

მარი ტოტიკაშვილი